F2747 ✓ 13829

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა.

„პროლეტარიატის ბრძოლის“
ფურცელი

№ 10–11. 1 (14) ივლისი 1904 წ. № 10–11.

ლადიკო მიხეილის ძე ჯანტურიშვილი.

(ნეკროლოგი)

ამ მიმდინარე წლის მაისში ჩვენმა პარტიამ კიდევ დაჰკარგა ერთი ამხანაგი—ლადიკო ჯანტურიშვილი. მისი რევოლიუციონური მოღვაწეობა მჭიდროთ დაკავშირებულია გურიაში გლეხების მოძრაობასთან, სადაც იმ თავიდანვე ჩადგა ხალხში და ფართე აგიტაცია დაიწყო ლანჩხუთში და იმის განაპირა სოფლებში. ეს 1902 წ. იყო. ეს ის დროა იყო, როცა მოძრაობა ფეხს იკიდებდა. იმ ჟამად ის მასწავლებლათ იყო თავის სოფელ აცანაში, სადაც მას დიდ ხანს აღარ დასცალდა ამის შემდეგ ყოფნა. ჯაშუში ბლაღ. სილიბისტრო ჩხაიძის რამდენიმე დაბეზღების გამო, ის იძულებული გახთა მასწავლებლობაზე ხელი აეღო, და ბოლოს გურიიდანაც გააძევეს ის. შემდეგ წელს ის მასწავლებლობდა იმერეთში, სადაც ისევ მოჰკიდა ხელი გლეხებში პროპაგანდას, მაგრამ აქაც გაუგეს და ცნობილმა ჯაშუშმა—სახალხო სკოლების ინსპექტორმა მაჭავარიანმა ახლა უკვე სამუდამოთ აუკრძალა ამ მასწავლებლობა, და, როგორც ლადიკო ხუმრობით ამბობდა —„გზა გაუხსნა რევოლიუციისაკენ“. სწორეთ მაშინ გადასწყვიტა განსვენებულმა, რომ ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტათ აღარ ღირდა ბრძოლა, მიხვთა, რომ საჭირო იყო მუდმივი და სისტემატიური შრომა მუშათა საქმისათვის და კიდევაც მიმართა ბათუმელ ამხანაგებს—1903 წ. სეკტემბერში: „ამ დღიდგან მე მთლად თქვენი და მუშა ხალხის ვარო“. მაგრამ დიდხანს აღარ დასცალდა ჩვენს ლადიკოს საყვარელ საქმისთვის მუშაობა! მისმა ნაზმა აგებულებამ ვერ აიტანა ის ცვალებადობით სავსე ცხოვრება, რომელიც ამ საქმეში ჩაბმულთ ხვთება გზაზედ, და ეს სიცოცხლით სავსე, ოცდათხი წლის ყმაწვილი დაჭლექდა, რამაც მოუღო კიდეც ბოლო და ასე უდროოთ საფლავში ჩაიყვანა. საუკუნოთ იყოს შენი ხსენება, ჩვენ შორის ძვირფასო ამხანაგო!

—

სარდიონ პაბრიელის ძე ფოქიკაიშვილი.

(ნეკროლოგი)

შეუბრალებელმა სიკვდილმა კიდევ წაგვართვა ხალხის ერთი მეგობარი, კიდევ მოუსპო სიცოცხლე ერთს მებრძოლს ხალხისათვის: სარდიონი დაიხრჩო მდ. გუბაზოულში ხიდისთავის მაისის დემონსტრაციის შემდეგ. გურიის კომიტეტმა გაგზავნა ის ხიდისთავში იქაურ გმირთა დასაფლავებაზე დასასწრებლად და საგიტაციო სიტყვის სათქმელად. ხიდისთავში შესასვლელი გზები ყველგან შეკრული იყო „სტრაჟნიკებისაგან“. სარდიონი ყოველთვის გამბედავი ამგვარ შემთხვევაში და უკან დაუხეველი, გადაეშვა მდინარეში და მოინდომა ცურვით გასვლა. დიდხანს ებრძოლა ის აზვირთებულ ტალღებს და ბოლოს იძლია, იძლია, იქნებ, პირველად თავისს მოკლე, მაგრამ მრავალ-ტანჯულ სიცოცხლეში! უკანასკნელი 4 წელი სარდიონმა თბილისში გაატარა. ბუდამ გაჭირვებული და დაძაბუნებული მატერიალურად, ის ძლიერი და შეუდრეკელი იყო სულიერად, და რამდენათ უფრო საგრძნობი იყო გაჭირვება, იმდენად მეტი ცეცხლი და სიცოხველე ემატებოდა მის აგიტაციას ვერის მუშათა შორის. ბაში-ბუზუკებს, რაღა თქმა უნდა, არ გამოეპარებოდა სარდიონი შეუნიშნავათ—ის რამდენჯერმე იჯდა მეტეხის ციხეში, და ბოლოს ამა წლის აპრილში, სხვა 26 ამხანაგებთან ერთად, ის გადაასახლეს კავკასიიდან. სარდიონი ბათუმში გაიქცა. აქედან გურიის კომიტეტმა ხიდისთავში გაგზავნა და აქ, მოკლებული ამხანაგთა უკანასკნელ სალამს და მეგობართა წრფელ ცრემლს, გუბაზოულის მღვრიე ტალღებში ნახა მან უკანასკნელი ბინა...

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო ამხანაგო!

—

საერთაშორისო ჟანდარმი.

ვინ გაიმარჯვებს: იაპონია თუ რუსეთი? ეს კითხვა აინტერესებს მთელ კაცობრიობას, აღელვებს მას; ყველა წერა-კითხვის მცოდნე გატაცებით ეწაფება გაზეთს იმ იმედით, რომ რამე ახალი ამოიკითხოს, ახალი გამარჯვება თუ დამარცხება გაიგოს, ვინ გაიმარჯვებს: რუსეთი თუ იაპონია?

ომის შედეგი აინტერესებს საზღვარ-გარეთელ ვაჭრებს, – და ეს ადვილი გასაგებიც არის! სავაჭრო საქმეები აქვთ იმათ რუსეთში. შედეგი აინტერესებს ბანკირებს,—და ეს ასეც უნდა იყოს! მეფის კასაში ბევრი ფულებია უცხო ბანკებიდან დიდ პროცენტით წამოღებული, დიახ ბევრი ფულები დიდი პროცენტით აღებული, რაც ხალხმა უნდა გადაიხადოს...

ომის შედეგი საინტერესოა უცხო ხალხთა მთავრობისათვის, ან როგორ არ იქნება საინტერესო: გაიმარჯვებს რუსეთი,—ის საშიში შეიქნება დანარჩენებისათვის; იაპონია გაიმარჯვებს, მაშინ მასთან მოუხდებათ მათ ანგარიშის გასწორება.

მაგრამ, არა მარტო ვაჭრები, ბანკირები და უცხო ხალხთა მთავრობანი დაინტერესებულია ომის შედეგით,—არა, იმდენათვე დაინტერესებულია მით და არა ნაკლებ გაფაციცებით პირველი ყურს უგდებს ომის გრიალს შორეულ აღმოსავლეთში მთელი ქვეყნის გათვითცნობიერებული მუშა ხალხი.

მუშათა გაზეთები, რომლებიც თავისუფლად გამოდიან უცხო ქვეყნებში, დაწვრილებით აცნობებენ საქმის ვითარებას თავიანთ მკითხველებს, ძალას ორივე მებრძოლთა და შეხედულებას მომავალზე. მუშათა თავისუფალ კრებებზე ორატორები სიტყვას ამბობენ ომის შესახებ და მუშა ხალხი ძალიან გულ-დასმით უსმენს თავის ორატორებს.

და არა თუ უსაქმო ცნობის მოყვარეობა და ან უბრალო დროს გატარება იყოს მიზეზი, რომ ასე ბევრ დროს კარგავენ და დიდ ყურადღებას აქცევენ მუშები რუსეთ-იაპონიის ომს,—არა! ისინი უცქერიან ამ ომს, როგორც თავის ღვიძლ საქმეს, ისინი უფრო მოუთმენლად მოელიან ომის შედეგს, მინემ გაფიცულები გაფიცვის შედეგს.

ამგვარ ვე ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს საზღვარ-გარეთელი მუშები ყველაფერს, რაც-კი ხთება ეხლა რუსეთში. ყოველ გაფიცვას, ყოველ დემონსტრაციას, ყველაფერს, რაც-კი იწერება ცენზურულ თუ თავისუფალ გაზეთში.

რა სურთ ამ მუშებს? რას მოელიან ისინი? რა შეუძლია მისცეს მათ ომმა? ან რას წაართმევს იგი მათ?

გათვითცნობიერებულ მუშებს მთელი ქვეყნისას სურთ ის, რაც რუსეთის მუშებს: რუსეთის თვითმპყრობელობის დაცემა. რუსეთის ჯალათს აუარებელი მტერი ყავს არა მარტო რუსეთში, არამედ ყველგან, გარეშე რუსეთის საზღვრებისა, რადგან რუსეთის თვითმპყრობელობამ შესძლო მოეფინა ბოროტ-მოქმედებით არა მარტო მთელი ისტორიული გზა რუსეთის ხალხისა, არამედ თვისი საზიზღარი ბრეჭყალებით წაწვდა სხვა უცხო ხალხსაც, წაბილწა სხვა ხალხთა ისტორიაც. რომ ჩამოვთვალოთ ყველა ის შემთხვევა ევროპაში, საცა რუსეთის თვითმპყრობელობას ჟანდარმისა და ჯალათის როლი უთამაშნია, მეტად გრძელ სიას მივიღებდით, გაცილებით გრძელს, მინამ თვით ტიტული რუსეთის თვითმპყრობელობისა. საცა-კი ხალხს უბრძოლია ნაციონალურ თავისუფლებისათვის, საცა-კი კერძო კლასთ სისხლი უღვრიათ ძმობისა და თავისუფლებისათვის, იქ ყოველთვის შეიარაღებული წინააღმდგარა რუსეთი. როცა-კი მთავრობას მოუწადინებია შეებოჭა და ყოველივე ადამიანური გრძნობა ჩაეკლა თავის ქვეშევრდომებში, რუსეთი ყოველთვის მზათ იყო მხარი მიეცა მტარვალთათვის და შეიარაღებული დახმარებას უწევდა მას. ის ყოველთვის დამჩაგვრელთა მომხრე იყო, ის ყოველთვის ჯალათთ უდგა გვერდში.

საკმარისია მივიხედოთ ისტორიისაკენ. მაგალითად, იტალია დიდხანს იყო ავსტრიის ძალ-მომრეობის ქვეშ, როგორც ეხლა პოლშა რუსეთის ძალ-მომრეობის ქვეშ არის,—და თვითმპყრობელობა ყოველთვის მხარს აძლევდა ავსტრიის მთავრობას იტალიელთა წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1821 წ., როცა პირველად ამართეს იტალიელთა დროშა თავისუფლებისა, ალექსანდრე I-მა, ხუცებისა და მოხელეებისაგან „კურთხეულად“ წოდებულმა, ლუთხრა ავსტრიის იმპერატორს: „ჩემი ჯარი თქვენი უდიდებულესობის ბრძანების ქვეშაა“—და ასი ათასი რუსის ჯარის-კაცი გაიყვანეს ავსტრიის „მათრახის“ დასაცველად. ეგევე განმეორდა 1847 წ., ნიკოლოზ პირველის დროს. ამან მისცა ხაზინიდან, ესე იგი ხალხის ფულიდან, ავსტრიის მთავრობას ექვსი მილიონი მანეთი ხელ-მეორედ აჯანყებული იტალიის დასამშვიდებლად. მალე ვენგრიაში მოხთა ამბოხება; ესეც ავსტრიის მონობის ქვეშ იყო. ნიკოლოზ I-მა ვენგრიელთა დასამშვიდებლად რუსეთის ჯარი გაგზავნა, ესე იგი რუსეთის ყმები მუნდირებში. ნიკოლოზ I-ს ისიც არ უნდოდა, რომ ავსტრიას ეკისრნა რუსეთიდან საშვილად გაგზავნილ ჯარის შენახვა, არა, მას თავის წმინდა მოვალეობად მიაჩდა მარტო თავისი ძალით და საშვალებით გაესრისა მეამბოხენი. გასრისა კიდეც ვენგრიელები. და მერე რა საზიზღარ, რა ბარბაროსულ ზომებით!

დღემდი ახსოვსთ ვენგრიელებს ბარბაროსული ძალ-მომრეობა რუსის კაზაკებისა. ამნაირად, რუსის დესპოტი, დამონებული რუსეთის ხალხის ძალით უმონებდა ავსტრიის დესპოტს ვენგრიელებს!

თვითმპყრობელობას არ ძალედვა შერიგებოდა თავისუფლების გამარჯვებას, სადაც არ უნდა მომხდარიყო ეს, იმიტომ რომ პოლიტიკური თავისუფლება ვერ თვისდება თვითმპყრობელობის კაზარმასთან. ცარიზმს არ შეეძლო შერიგებოდა თანასწორობის იდეის გამარჯვებას, რადგან თვითმპყრობელობა, ყოველთვის დაყრდნობილი იყო თავის ქვეშევრდომთა მონობაზე. აი, რისთვისაც ერეოდა ის ყოველთვის, რამდენადაც-კი შეეძლო, უცხო ქვეყნის საქმეებში და ხელს უწყობდა სიბნელისა, მონობისა და დესპოტიზმის გამეფებას. განსაკუთრებით ბევრი ავი ახსოვს რუსეთის თვითმპყრობელობისაგან პოლიტიკურ თავისუფლებისთვის მებრძოლ ნემცებს. რამდენიმე ათი წლის განმავლობაში სისტემატიურად ურევდა რუსეთი ხელს ნემცების შინაურ საქმეებში და ყოველივე მოძრაობას თავისუფლებისაკენ ახშობდა მათში ომის დაწყების შიშით, ითხოვდა მკაცრ და სასტიკ ცენზურის შემოღებას, უშლიდა მთავრობას სულ ცოტა რამეც-კი დაეთმო ხალხისთვის, ითხოვდა სიკვდილით დასჯას თავისუფლებისათვის მებრძოლთა. ყველაფერი მონარქიის სადიდებლად, ყველა თვითმპყრობელობის სანაცვალოდ!

და როცა რუსეთის თვითმპყრობელობა შეიარაღდებოდა ხალხის მოძრაობის გასასრესათ, მისთვის არ არსებობდა არც ეროვნული განსხვავება, არც საერწმუნოებრივი. ის მზათ იყო დახმარებოდა, და არა ერთხელ დახმარებია კიდეც, ოსმალეთის სულთანს „მართლ-მადიდებელი“ ბერძენთა და ბალკანეთის სლავიანთა ასალგმავად. დროშა მონარქიისა ხელშეუხებელი უნდა იყოს,—და თუ დაუდგრომელი ბალკანელი სლავიანები ცდილობენ როგორმე თავი დაიღწიონ ოსმალეთის უღელს,—ისინი საზიზღარი მეამბოხენი არიან, პეტერბურგელი „ოსმალთა“ შეხედულობით!

თვითმპყრობელობას არა ერთხელ დაუკვეხნია, რომ მან ალექსანდრე II-ის დროს გაანთავისუფლა ბოლგარნი ოსმალეთის მონობისაგან. მაგრამ, რისთვის გაანთავისუფლა? იმისთვის რომ ოსმალოს შოლტი რუსის მათრახზე შეეცვალა. რუსეთის ღენერლები ბოლგარიის მინისტრებად დანიშნეს; ისინი ძარცვავდენ ხალხს, ათას უზნეობას ჩადიოდნენ და იმათი პოლიტიკა მარტო იქითკენ იყო მიმართული, რომ როგორმე ბოლგარია რუსეთის უბრალო გუბერნიად გაეხადნათ, და ეს იქამდის გაგრძელდა, სინამ ბოლგარიის ხალხმა არ გამოაძევა ისინი ბოლგარიიდან. დღემდისაც-კი „განთავისუფლებული“ ბოლგარელები გულდათუთქული იმეორებენ: „არც რუსის თაფლი გვინდა და არც მისი შხამინი ისარო!“

როგორ მოექცა თვითმპყრობელობა სლავიანურ პოლშას? შეკავშირებულმა ნემცების გერმანიასთან და ნემცების ავსტრიასთან, რუსეთის თვითმპყრობელობამ სამად გაგლიჯა ეს მხარე; ერთი ნაწილი თითონ მიისაკუთრა და პოლიციური მუხრუჭი მაგრად მოუჭირა. ყველაფერი მონარქიის სადიდებლად, ყველა თვითმპყრობელობის სანაცვალოდ!

სადაც თვითმპყრობელობაა,— იქ სიკვდილია, სისხლია, სიღარიბე და მონობაა!

სადაც თვითმპყრობელობაა,—იქ წყევლა, იქ ხრიალია სასიკვდილო ლა ძახილი უმწეო. რაც-კი თვითმპყრობელობა ფეხზე დამდგარა, პოლიტიკა რკინის და სისხლისა, ძალ-მომრეობისა და დაუნდობლობისა არ შეწყვეტილა არც ერთი წამით და არც შეიცვლება იქამდი, სანამ თვითმპყრობელობა არ წამოპირქვავდება რევოლიუციით. როგორც ზვავი, ფერდობზე დაქანებული, შეუჩერებლივ გზა-შეუხვეველ მიდის და მიდის, წინ მისწრაფვის და არ ძალუძს მას შეჩერება, ისე თვითმპყრობელობა გაზრდილი ძალ-მომრეობით, მითვე გამოკვებული ვერ შესცვლის გზას სასიარულოს, ვერ შესცვლის თავის ბუნებას. მეფეს მეფე სცვლიდა, იყო კურთხეულიც, განმათავისუფლებელიც, მირონცხებულიც—თვითმპყრობელობა შეუცვლელი სიმკაცრით ახრჩობდა ყველაფერს, რაც თავს წამოყოფდა, ვინც-კი წელში გაიმართებოდა შიგ რუსეთში თუ გარეთ უცხოეთში.

და დღევანდელი ნიკოლოზ II, რომლის შესახებაც გადაჭრით შეიძლება ითქვას,—**ნიკოლოზ უკანასკნელი**,—თავის პოლიტიკით შინ თუ გარედ, პირწავარდნილი შვილი გამოდგა „სახელოვან“ წინაპრებისა: ძალ-მომრეობა და დაუნდობლობა, დაუნდობლობა და ძალმომრეობა.—ასეთია წმინდა ანდერძი წინაპართა!

როცა ბერძნები 1896 წ. წინააღუდგენ ოსმალთა მხეცურ ბარბაროსობას, კრიტელების წინააღმ-

დეგ მიმართულს, ნიკოლოზ II-მ მხარი მისცა სულთანს, როგორც „კანონიერ“ მეფეს. სად იყვნენ ამ დროს მეფის ლაქიები, ასე ხმა-მაღლა მყვირალნი მეფის უზომო სიყვარულისა და გულ-შემატკივრობისა ქრისტეანობისადმი?! სად იყო ეს სიყვარული მაშინ, როცა ოსმალთა ბაში-ბუზუკებისგან აბეზარ მოსულმა სომხებმა პროტესტი გამოაცხადეს და გაშალეს დროშა თავისუფლებისა?! მოტყუებულები მეფის აგენტებისაგან, რომ „დიდებული მართლ-მადიდებელი რუსეთი“ განთავისუფლებს მათ ბარბაროსთაგან, ისინი, მარტოდ-მარტო დარჩენილები, სასტიკად დაისაჯნენ ოსმალთაგან. „უფლებანი ოსმალეთის სულთანისა ხელ-შეუხებელია,“—ურცხვად განაცხადა თვით-მპყრობელმა. ოღონდაც! სულთანი ოსმალეთისა სწორეთ იმავე უფლებებით ყველფს და სტანჯავს თავის „ქვეშევრდომთ“, რა უფლებითაც ჩვენ გვძარცვავს და ტყავს გვაძრობს სულთანი პეტერბურგისა. ყორანი ყორანს თვალს არ ამოთხრის!

ცოტა ხნის შემდეგ თვითმპყრობელობამ ასევე უსირცხვილოთ უღალატა ბოლგარელთ, დაიმედებულთ, რომ ერთმორწმუნე რუსეთი დაეხმარებოდა მათ. გმირული ბრძოლა მაკედონელთა თავის დღეში ვერ გათავდება ამ ერის განთავისუფლებით ოსმალთა ბატონობისაგან, რადგან რუსეთი წინააღმდეგია ოსმალეთის დარღვევისა მანამდი, სანამ პირველს არ ექნება საკმაო ძალა თითონ მიის კუთროს მრავალ-ტანჯული საქრისტიანო ერები. სოფლთა და ბოლგართა ოჯახობა ასობით და ათასობით მსხვერპლი უნდა გახდნენ ოსმალთა ბრბოს ძალ-ბომრეობისა იმისთვის, რომ ეს ხელ-საყრელია მართლ-მადიდებელ ხემწიფისათვის. რუსეთის მთავრობა ხელს უშლის საფრანგეთსა და ინგლისს, რომ მათ აიძულონ ოსმალთა მთავრობა რაიმე გაუმჯობესობა შეიტანონ მაკედონელთა მდგომარეობაში. რუსეთს ეშინია, მაკედონია საფრანგეთის და ინგლისის გავლენის ქვეშ არ იქნეს, მას უნდა დაიმონოს მთელი ბალკანეთის სლავიანები, როგორც უნდა დაიმონოს მანჯურია, კორეა, მთელი აზია, მთელი დედამიწა... თავის ჯოჯოხეთურ პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, რუსეთის მეფეს მზათა ყავს ურიცხვი ჯარი. ეს ჯარი ხალხში იკრიბება—ხალხის დაუკითხავად. ის ხალხის ფულით ინახება—ხალხის სურვილის მიუხედავად. და ეს მილიონი ჯარი რუსეთისა საშინელი სფინქსივით დგას მთელი კაცობრიობის წინაშე. დანარჩენი სახელმწიფონი იძულებულნი არიან დღითი-დღე ამრავლონ თავისი ძალა, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე, რომ არ ჩამორჩენ რუსეთს. და ეს მძიმე სამხედრო უღელი მთელი თავისი სიმძით მუშა ხალხს აწევს კისრად. აქედან განა ადვილი გასაგები არ არის, რომ ევროპის პროლეტარიატი ზიზღით უყურებს რუსეთის თვ თმპყრობელობას, როგორც უმთავრეს მიზეზს მილიტარიზმის ასე საოცარი გაზრდისას, რის შედეგი ხალხის გაყვლეფა და სიღატაკეა.

ეს კიდევ ცოტაა. საერთაშორისო პროლეტარიატს კიდევ აქვს ერთი ღრმა მიზეზი მოუთმენლად მოელოდეს იმ წამს, როცა რუსეთის თვითმპყრობელობა სულს დალევს, განთავისუფლებულ რუსეთის ხალხის ფეხ-ქვეშ. ცარიზმი საზიზღარია არა მარტო წარსული ცოდვებით. არა! სინამ ცარიზმის ცოცხალია, ის საშიშარ საფრთხეს წარმოადგენს იმ დიად მიზნისათვის, რომელიც აერთებს და აკავშირებს გაცნობიერებულ მუშათ მთელი ქვეყნისას.

რაშია ეს მიზანი? და რას უქადის მას ცარიზმი?

ყოველ კულტურულ მხარეში, სადაც-კი პოლიტიკური თავისუფლება უკვე მოპოვებულია, გადამჭრელი ხმა სახელმწიფო საქმეებში ეკუთვნის დღეს-დღეობით არა მუშებს, არამედ ბურჟუაზიას (კაპიტალისტებს, მექარხნეთ, პროფესორებს). რისთვის? იმისთვის რომ მთელი ძალა ბურჟუაზიის ხელშია: სიმდიდრე და განათლება; და რაღა თქმა უნდა ბურჟუაზია კარგად სარგებლობს ამ ძალით. რა ზომებს ხმარობს პროლეტარიატი, რომ მოსპოს ბატონობა ბურჟუაზიისა? სარგებლობს-რა მუშა ხალხი პოლიტიკური თავისუფლებით, რომელიც მისთვის ისე საჭიროა, როგორც ჰაერი და მზის სხივები,—ის ერთდება, კავშირდება და ადგენს ერთ დიდ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ბოლოს ხელში ჩაიგდებს სახელმწიფო მმართველობას, ყველა საზოგადო საქმეს, შრომის საზოგადოთ გახდის, შრომის ნაყოფს-კი—საერთოდ, მოსპობს სიღარიბეს, პროსტიტუციას, სატუსაღოებს, თავს შეუკრავს და მალამოს დასცხებს ყველა იარებს დღევანდელ საზოგადოებისას. ამნაირად, **მთელი პოლიტიკური მმართველობის ჩაგდება საკუთარ, სანდო ხელში—ასეთია დიდებული მიზანი მთელი ქვეყნის გაცნობიერებულ პროლეტარიატისა.**

პროლეტარიატი უცხო ქვეყნისა, ასწონის-რა თავის ძალას და გაითვალისწინებს ძალას მტრისას, ბურჟუაზიისას, იმავე დროს თვალს შემოაღლებს ირგვლივ, გარეშე თავის ქვეყნისა,—ხომ არავინ ყავს ბურჟუაზიას იქ, სამშობლოს გარე, ვინმე დამხმარე და მოკავშირე, რომელიც გაჭირვების დროს ხელს მისცემს მას, მიეშველება... და, აი, აქ უწინარეს ყოვლისა რევოლიუციონურ პროლეტარიატს თვალწინ უდგება უზარ-მაზარი გარეული ორთავა ფრინველი რუსეთის ცარიზმისა. აი ერთგული მეგობარი საერთაშორისო ექსპლუატაციისა, აი მაგარი საძირკველი კაპიტალისტებისა, მღვდლებისა, მემამულეთა და სხვათა მრავალთა ძმათა მათთა. და მართლაც! განა შეუძლია თვითმპყრობელობას გულ-გრილად უყქიროს, თუ როგორ მის გარშემო მამაცი ხელები დაამსხვრევს ბორკილს ეკონომიურ მონობისას, როგორ გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ინგლისში,—ყველგან და ყველგან დამყარდება ეკონომიური თანასწორობა, როგორ დიადი მუშათა რევოლიუცია ცეცხლის გრგოლივით შემოეღლება რუსეთის საზღვრებს და, ჰა, საცაა მოედება ტერიტორიას რუსეთის დესპოტიზმისას!..

არა, თვითმპყრობელობა ვერ დარჩება ამ დროს გულ-გრილად,—ამის იმედი აქვს მთელ ევროპის ბურჟუაზიას. მეფეს მილიონი სალდათი ყავს, თითეულ სალდათს თითო შტიკი აქვს მხარზე და ათიოდე ტყვია სარტყელში,—ეყოფა ეს ევროპის პროლეტარიატა მოსარჯულებლად! ჯალათებს უცხო ქვეყნისას კარგათ ახსოვთ, რომ მათ ერთგული დარაჯი ყავთ,—საერთაშორისო ჟანდარმი, რომელიც ყოველთვის მზათ არის ცხრა კილტულში ჩაკეტოს თავისუფლებაც, თანასწორობაც და ძმობაც!

და რადგან თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობისთვის ეხლა მთელ ქვეყანაზე მარტოოდენ პროლეტარიატი იბრძვის, თვითმპყრობელობა კლასიურ მტრად გადაიქცა საერთაშორისო პროლეტარიატისა. რუსეთის მუშათა კლასმა უნდა გაიგოს, რომ რუსეთის დესპოტიზმის სიკვდილი დააჩქარებს სიკვდილს საერთაშორისო ბურჟუაზიისას და ხელს შეუწყობს საზოგადო შრომის და მშვიდობიანობის გამეფებას.

მუშებო-ამხანაგებო! თქვენი მიზანი თვითმპყრობელობის გზიდან გადაგდებაა. თქვენ გადაწყვიტეთ, დაახრჩოთ ეს გარეული ფრიველი,—გახსოვდეთ, რომ ამ ფრინველს ორი თავი აქვს: ერთი—თავის რკინის ნისკარტით თქვენკენ არის მომართული, მეორე—თქვენ უცხო მოძმეთაკენ! თქვენი განთავისუფლება იმათ განთავისულებასაც მოასწავებს.

ცარიზმის დამხობით ხელ-ფეხს აუხსნით მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, კარებს გაუღებთ მათ სოციალიზმის სამეფოში. დე, ინტერესთა ერთობა

თქვენი და თქვენი უცხო ქვეყნის მუშათა გიძღოდეთ წინ სასტიკ ბრძოლის დროს! დეე, იმ დიადმა როლმა, რაც ისტორიამ გაკუთნათ, აავსოს თქვენი გული კანონიერ სიამაყით და, რევოლიუციონურ ენტუზიაზმით!

წინ, ამაანაგებო! ეხლა ყოველი წამი ძვირფასია. თვითმპყრობელობა ყოველ ღონეს ხმარობს, გამარჯვებული გამოვიდეს დღევანდელ ომისგან. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ შემოხვევით; ჩვენ უნდა ორ-ცეცხლ შუა ჩავაყენოთ ის: ერთის მხრით —იაპონია, მეორე მხრით—რუსეთის რევოლიუცია. დადგა დღე,—ანგარიში მოვთხოვოთ მშრომელ ხალხის საუკუნოებით მყვლეფელს. დეე, ხშირ-ხშირათ, გაბედულათ, ენერგიულათ დავკრათ მტერს თავში —და, როს შევნიშნოთ ის დაბარბაცდეს,—ყელში ხელი მას და მკერდზე მუხლი!

„ისკრის“ რედაქცია.

დ ა ჰ კ რ ა ს ა ა თ მ ა!

წერილი მეორე.

ვერავინ გვიხსნის, ვერც ღმერთი, მეფე,
ვერც თვითონ გმირი, ამაოდ ველით;
სასურველ საგანს მივაღწევთ მხოლოდ
ჩვენის ერთობით, საკუთარ ხელით!

,,ინტერნაციონალიდან.''

მირბის დრო... ძველ სანახაობას ახალი მოსდევს, ახალს კიდევ ახალი,—და ყოველი თვე, ყოველი კვირა ახალ •მბებს ჩაგვჩურჩულებს: „მეფის თვითმპყრობელობას სული ამოსდის“-ო!

მარცხდება რუსეთის ფლოტი, უკან იხევს რუსეთის ჯარი—რაც პირდაპირ ააშკარავებს თვითმპყრობელობის ნივთიერს, ზნეობრივს და გონებრივ გაკოტრებას,—ძლიერდება კრიზისი, ღელავს კრიზისისაგან დაზარალებული პროლეტარიატი, იწყება და ძლიერდება „სოფლელ ღარიბთა“ სიმშილობა, ეღიმებათ და იმედით უბრწყინავთ სახე პროლეტარებს—დღეს-ხვალ გავიმარჯვებთო, — ხელს უწოდებს და მხურვალე სალამს უგზავნის რუსეთის მუშა-ხალხი იაპონელ ამხანაგებს, გზა-კვალი ერევათ მეფის ლაქიებს, მატულობს არაპირდაპირი გადასახადები *), იქ, ცივ იაკუტსკში, სოციალისტების სისხლი იღვრება, აქ პატარა გურია გლეხ-კაცობის სისხლით იღებება,—და ყველა ეს დაბეჯითებით გვეუბნება, რომ დაჰკრა საათმა, დგება დრო, როცა რევოლიუციის მრისხანე ქარ-ტეხილი მტვერივით გაანიავებს თვითმპყრობელობის შერყეულ ტახტს... დადგა დრო, როცა რუსეთის პროლეტარიატმა ანგარიში უნდა მისცეს თავის თავს, თუ რისთვის უნდა იბრძოდეს ის... მეფის მთავრობა დაინგრევა... მაგრამ ვინ არ იცის, რომ ,,ძველი წესების'' **დანგრევა** საკმარისი არ არის: საქმე იმაშია, თუ რას **ავაშენებთ** ძველის ადგილზედ, საქმე იმაშია, თუ **ვის ხელში** გადავა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა.

ბურჟუაზია გაეჩვია პოლიტიკურ საქმეებში, მას აქვს უკვე რამოდენიმეთ პოლიტიკური გამოცდილება; ცხადია, მით უფრო თვალებით გაეცანება ის პოლიტიკური ბატონობისკენ, ცხადია, მით უფრო თავ-გამოდებით შეეცდება ძველის ნანგრევებზედ დააწყოს ისეთი ახალი მთავრობა, რომელიც მისი ყურ-მოჭრილი ყმა იქნება. ის შეეცდება შეასუსტოს პროლეტარიატის **კლასიური** თვით-შეგნება, რისათვისაც მოჰყვება ტკბილ სიმღერებს პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის დამეგობრებაზედ... არ მოსტყუვდეთ, მაშინ, პროლეტარებო! არ მოგხიბლოთ მაშინ ბურჟუაზიის პირფერობამ! გახსოვდეთ, რომ ჩვენი კლასიური ინტერესები ძირიანათ წინააღმდეგება ბურჟუაზიისას! და რაც უფრო ძლიერი იქნება ბურჟუაზიის ესეთი მეცადინეობა, მით უფრო მედგრათ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ შეფის მთავრობის ადგილი დაიჭიროს **დეპუტატთა თავისუფალმა კრებამ, თავისუფალმა პარლამენტმა**, რომელიც არჩეულ იქნება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ **საყოველთაო, თანასწორი და დახურული კენჭის ყრით**; რომ სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა სწორედ **ამისთანა** პარლამენტის ხელში გადავიდეს, სადაც ჩვენ უმრავლესობას უნდა შევადგენდეთ (იხ. ,,პროლ. ბრძ. ფ. № 8).

მაგრამ სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობისთვის საჭიროა ფული. ამ ფულების საშოვრათ პარლამენტი იძულებული იქნება გადასახადები გააწეროს მცხოვრებლებზე. რუსეთის მცხოვრებლები-კი, როგორც ვიცით, სხვა-და-სხვა კლასებისგან შესდგება,—მდიდრებისა და ღარიბებისაგან. როგორ გაანაწილებს მომავალი პარლამენტი გადასახადებს ამ კლასებს შორის? მიიღებს თუ არა მხედველობაში მათს ქონებრივ მეტ-ნაკლებობას, გააწერს თუ არა მდიდრებს მეტს გადასახადს და ღარიბთ ნაკლებს ან სრულებით არაფერს?

საქმე იმაშია, რომ ბურჟუაზიამ პოლიტიკურ გამოცდილებასთან ერთად ფინანსიური გამოცდილებაც შეიძინა. მან დღესვე მოახერხა სხელმწიფო გადასახადები თავის მხრებიდან მშრომელთა მხრებზე გადაეტანა. ამასვე შეეცდება ის რესპუბლიკის დროსაც. და—გახსოვდეთ!—ბურჟუაზია გამოილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ პირდაპირ-კი არა, არამედ თავისუფლებისა და თანასწორობის ნიღაბ ქვეშ. ის ათასჯერ დაიფიცებს თავისუფლებისა და თანასწორობის სახელით,—რომ ერთხელ მაინც არის გადაიტანოს გადასახადები თავის ზურგიდან მშრომელთა ზურგზე; ის სიტყვით ,,თავს დასდებს ხალხის ინტერესებისთვის'',—რომ იერიში მიიტანოს ხალხის ჯიბეზე; ის დღე-და-ღამ განუწყვეტლივ იყროყინებს: ,,გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაო!''—ოღონც რაიმე ნაირად დაითანხმოს პროლეტარიატი **არა-პირდაპირ გადასახადების** დამკვიდრებაზე... არ ერწმუნოთ მის სიტყვებს, პროლეტარებო! იცოდეთ, რომ ბურჟუაზია იმდენათვე ფარისეველია, რამდენათაც მდიდარი! ნუ დავივიწყებთ ანდაზას: ,,რასაც მტერი გირჩევს,—ის უეჭველად საზარალოა''! და რაც უფრო ძლიერად გამოესარჩლება ბურჟუაზია **არა-პირდაპირ გადასახადებს**, მით უფრო მამაცად უნდა გავიბრძოლოთ მათ **მოსასპობად**!

რა არის **არა პირდაპირი გადასახადი**? ეს არის გადასახადი სახმარ საგნებზე: შაქარზე, ჩაიზე, ნავთზე, თუთუნზე, მაგარ სასმელებზე, სპიჩკაზე, ჩითეულობაზე და სხვ. ეს გადასახადები ერთმეორე მცხოვრებთა სხვა-და-სხვა კლასებს **მათი შემოსავლის კვალობაზე-კი არა,—არამედ მათი ხმარების** (потребленіе) **რაოდენობის მიხედვით**: რომელი კლასიც მეტს ხმარობს, ე. ი. მეტ ჩაისა, შაქარსა და სხვა, ის მეტ გადასახადსაც იხდის. ჯერ აქედანვეც ჩანს, ამ გადასახადის უსამართლობა: პროლეტარები და გლეხ-კაცობა აუარებელ უმრავლესობას შეადგენს საზოგადოებაში, მაშასადამე, გაცილებით მეტსა ხმარობენ, ვიდრე მდიდრები; აქედან-კი ის გამოდის, რომ არაპირდაპირ გადასახადს ღარიბები გაცილებით მეტს იძლევიან, ვიდრე მდიდრები, რომ მთელი სიმძიმე ამ გადასახადებისა ღარიბებს აწევთ კისერზე *). მაგრამ ამაზე ქვეით

---

*) იხ. „Кавказъ“ № 158, 1904 г.

*) მიმდინარე წელიწადში არაპირდაპირი გადასახადები უდრის 525 მილ. მან. (421 არაპირ. გად. მიუმატოთ 105 ,,პოშლინა''); თუ ამას მიუმატებთ ღვინო-არყის მონოპოლიის შემოსავლის ნაწილს, მაშინ ეს ისედაც აუარბელი, ,,ბუმა'' 700 მილიონს გადააცილებს!

ვილაპარაკოთ. გამოვაშკარაოთ ჯერ არაპირდაპირი გადასახადების საიდუმლოება.

ჩვენ ვყიდულობთ 1 გირ. შაქარს 15—16 კ., ფუთს 6 მან.; ინგლისში-კი ფუთი იმავე შაქრისა, და, შეიძლება, უკეთესის, 2—2 ნახევარ მან. ღირს. ცხადია, რუსეთში მანეთად შეგვიძლია ვიყიდოთ მხოლოდ იმდენი შაქარი, რამდენიც ინგლისში 35 კაპეიკად. ჩანს (ამ შემთხვევაში) რუსეთში მანეთს იგივე ძალა ჰქონია, რაც ინგლისში 35 კაპეიკს! საიდან წარმოსდგება ეს საკვირველი განსხვავება?

საქმე აი რაშია. რუსეთელ შაქრის მრეწველს შეეძლო იაფად გაეყიდნა შაქარი, მარა მეფის მთავრობა ართმევს მას თვითეულ ფუთზე განსაზღვრულ (არაპირდაპირ) გადასახადს (აქციზი), და ისიც „იძულებულია“ შესაფერისად ასწიოს შაქრის ფასი, გააძვიროს შაქარი. ამ გვარად, მთელი შაქრის ფასი მატულობს იმ ზომამდე, რა ზომის აქციზიც აქვს მას მთავრობისგან შეწერილი. ეს ერთის მხრით. მეორე მხრით მექარხნემ აქციზი შეიტანა ხაზინაში წვრილ-წვრილათ-კი არა, არამედ ერთად; მაშასადამე,—რამდენიმე ათასი მანეთი (რასაკვირველია, თუ ბევრი შაქარი აქვს); ეს-კი მთელი კაპიტალია, რომელიც პროცენტებს „მოუტანდა“ მექარხნეს. ცხადია, მექარხნეს მარტო კაპიტალი-კი (ე. ი. აქციზი) არ „დაუკარგია“, არამედ მისი პროცენტებიც. კაპიტალი (აქციზი) ანაზღაურა იმითი, რომ შაქრის ფასი ასწია. საიდან აიღოს კაპიტალის პროცენტები? ცხადია, იქიდან, საიდანაც აქციზი აიღო. ამგვარად კიდევ იზრდება შაქრის ფასი ამ პროცენტების დაკვალად. მიუმატეთ ყველა ამას სადამოჟნო „პოშლინები“,—და ადვილად მიხვდებით, რატომ იყიდება რუსეთში შაქარი (და ბევრი სხვა საგნებიც) ორჯერ და სამჯერ მეტ ფასათ, ვიდრე ინგლისში. ესევე უნდა ითქვას ჩაიზე, თუთუნზე, ნავთზე, მაგარ სასმელებზე და სხ.

აქციზი, სადამოჟნო პოშლინები და სხვ. ამისთანები შეადგენს **არაპირდაპირ გადასახადს.**

მაშ, ვინ იხდის არაპირდაპირ გადასახადებს, ე. ი. რომელ კლასს აწვება ტვირთად არაპირდაპირი გადასახადები? მექარხნეებს? რა თქმა უნდა არა: ჩვენ ვნახეთ, რომ მექარხნეები სულ ადვილათ ითავისუფლებენ თავს არაპირდაპირი გადასახადებისგან, როცა ისინი შესაფერისად უმატებენ საქონლის ფასს. **მაშ, ვინ იხდის?** ცხადია, მხმარებლები, რომლებიც იძულებულნი არიან ორჯერ და ხან ოთხჯერაც მეტ ფასში იყიდონ საჭირო საგნები.

მერე ვინ არიან ეს მხმარებლები? ზევით ვამბობდით, რომ მოქალაქენი არაპირდაპირ გადასახადებს იხდიან მათი მოთხოვნილებების კვალობაზე. მაგრამ, შეუძლებელია, რომ კაპიტალისტმა, რომელსაც, ვთქვათ, 100,000 მან. შემოსავალი აქვს, 1000-ჯერ მეტი შეჭამოს, დალიოს და საზოგადოთ იხმაროს შაქარი, ჩაი, არაყი, თუთუნი, ნავთი,—ვიდრე გლეხმა, რომელსაც, ვთქვათ, 100 მანეთზე მეტი არ შემოსდის. ცხადია, **მომხმარებელთა აუარებელ უმრავლესობას წარმოადგენს ღარიბები**, რომლებიც გაცილებით მეტია, და, მაშასადამე, მეტ საგნებს ხმარობენ, ვიდრე მდიდრები. **სწორედ ამ ღარიბებს აწვება კისერზე არაპირდაპირი გადასახადები.**

რაც უფრო ღარიბია კაცი, მით უფრო მეტ პროცენტებსა ხარჯავს თავის შემოსავლიდან აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, აუცილებელი საგნების საყიდლათ და პირიქით, რაც უფრო მდიდარია,—მით უფრო ნაკლებს; მაშასადამე, **რაც უფრო ღარიბია კაცი, მით უფრო მეტ პროცენტებს იძლევა თავისი შემოსავლიდან ხაზინის სასარგებლოდ**, და პირიქით, **რაც უფრო მდიდარია—მით უფრო ნაკლებ პროცენტებს!** ამაშია არაპირდაპირი გადასახადების შემაძრწუნებელი უსამართლობა!

მაგრამ ამაშივე იფარება არაპირდაპირი გადასახადების საიდუმლოებაც! ტყუილად-კი არ იკლავს თავს ბურჟუაზია არაპირდაპირი გადასახადებისთვის: მან კარგათ იცის, სად მარხია ძაღლის თავი! არც მეფის მთავრობა ელოლიავება მათ ტყუილ-უბრალოთ! ჯარისა და ფლოტის გასაძლიერებლად, თავისი ლაქიების გასამდიდრებლად მეფის მთავრობისათვის საჭიროა აუარებელი ფული. სად უნდა იშოვოს მან ეს ფულები? ვის გააწეროს ხარჯები? ბურჟუაზიას? მარა, ეს ხომ „უხერხული“ იქნება; ვისგან იშოვის მომავალში სესხს? გამოაშკარავებულად უბრძანოს პროლეტარიატს—„მომეცი გადასახადიო“? მერე, იმან რო „ხიფათი“ რამე გამოიწვიოს?! მაშ როგორ მოიქცეა მეფის მთავრობა? მან მიმართა ხერხს. ის ართმევს ბურჟუაზიას აქციზს, პოშლინას, არწმუნებს ქვეყანას—პროლეტარიატს არაფერს ვერჩიო—და ნამდვილად-კი სრულ თავისუფლებას აძლევს ბურჟუაზიას, რომ ყველა ეს გადასახადები გადიტანოს მან მომხმარებლებზე, ე. ი. უმთავრესად მშრომელებზე... და ნაყოფი მთელი ამ კომედიისა ხელში გვრჩება: აწეული ფასები აუცილებელ საგნებში, მუშებისა და გლეხკაცობის მოთხოვნილებათა შემცირება, სილატაკე და სიმშილი სოფლებში, გამწვავებული სამრეწველო კრიზისები ქალაქებში, დამშეული, დაუძლურებული მუშები... ამნაირათ, აშენებს თვითმპყრობელობა თავის სიმდიდრეს მშრომელთა გაღატაკებასა და გათახსირებაზე! ყოველივე ამას თან მოსდევს გაძლიერებული ფლოტი, გაძლიერებული ჯარი, გაძლიერებული მეფე, ჯამაგირ-მომატებული მეფის „ჩინოვნიკები“ და კმაყოფილი ბურჟუაზია!.. აი, სად იფარება არაპირდაპირი გადასახადების საიდუმლოება! ტყუილად-კი არ არის, რომ უმთავრესი ადგილი სახელმწიფო შემოსავალში **არაპირდაპირ გადასახადებს უჭირავს**, და გასავალში-კი—**სამხედრო ხარჯებს.**

მაგრამ, ქვეყნის წინმსვლელობას, სამართლიანობისა და პროლეტარიატის ინტერესები აუცილებლად ხდიან არაპირდაპირი გადასახადების გაუქმებას! და თუ ეს აზრი ფეხს მოიკიდებს და გამაგრდება პროლეტარიატში, თუ საბრძოლველათ გამზადებული პროლეტარები ერთხმათ დაიძახებენ: „ძირს არაპირდაპირი გადასახადებიო“!—მაშინ, იცოდეთ, ვერა-რა ბურჟუაზიული ხრიკები ვერ იხსნის გაუქმებისაგან **ნიშანში ამოღებულ** არაპირდაპირ გადასახადებს... გახსოვდეთ ეს, პროლეტარებო!

„გაუქმება არაპირდაპირი გადასახადებისა“ (იხ. ჩვენი პარტიის პროგრამმა)—ასეთი უნდა იყოს პირველი ფინანსიური ზომა თავისუფალ, დემოკრატიულათ მოწყობილ პარლამენტისა.

ერთი სიტყვით, აუცილებლად უნდა მოისპოს არაპირდაპირი გადასახადები. ამას ითხოვს ჩვენი კლასიური ინტერესები. ამის მაგიერ შემოვიღებთ პროგრესიულ გადასახადს შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე. მაგრამ, ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

თბილისი. რკინის გზის სახელოსნოები.

ზედმეტი სამუშაო დრო ერთი უმთავრესი ბოროტებათაგანია ჩვენ სახელოსნოებში. გულის ფანცქალით მოელი „გუდოკს“, რომ თავი დააღწიო იმ საშინელ ატმოსფერას, რომელშიაც „ყოვლად შემძლე“ კაპიტალმა მოგვამწყვდია, და აი, გაისმის ხმა „მასტერისა“,—ის „წინადადებას“ გვაძლევს—დავრჩევთ კიდევ რამდენიმე საათი. ვინც ყოველთვის ქედს იხრის უფროსების წინაშე, ის სიამოვნებით იღებს „წინადადებას“ იმ იმედით, რომ ოროდე გროში კიდევ მიუმატოს თავისს მცირე ხელ-

ფასს! ოღონდაც რომ სახარბიელო რამ არი ეს ზედ-მეტი მუშაობა: ამ დროს თითო საათი საათნახევრად ეთვლებათ! კიდეც ამისთვის არის, რომ ეს საცოდავები ასე მადლიერნი არიან თავიანთ „კეთილ-მოსურნეებისა“. ზედ-მეტი სამუშაო დრო ყველა ცეხებში ერთგვარად არ წარმოებს. მარტო „ტოკარში“ აქვს მას დამსახურებული სრული მოქალაქობრივი უფლება: აქ 4 დღე მაინც კვირაში დღეში 3 საათი ზედ-მეტ მუშაობაზე იხარჯება. დანარჩენ ცეხებში ზედ-მეტი მუშაობა უმთავრესად კვირაობით წარმოებს. მოისმა „გუდოკი“, „მასტერი“ აცხადებს დარჩენ სამუშაოთ. ბევრი მუშათაგანი კოკნობს, რადგან კარგად ეცმის თუ რა შედეგი მოსდევს ზედ-მეტ სამუშაო დროს. მაგრამ „მასტერმა“ ამათი წამალიც იცის: როგორც-კი რომელიმე შეგნებული მუშა კარებისაკენ გაიწევს, მოისმის მკაცრი ხმა „მასტერისა“: ეი, შენ, სოციალისტო, საით მიეშურები?! თუ კაცი ვარ ყველას კატორღაში ამოგაყოფინებთ თავს! და მოჰყვება ლანძღვას უშვერი სიტყვებით. მუშა შედგება. მუშაობას უქონლობამ, გაჭირვებამ ოჯახში მიაჩვია ის მოთმინებას და დათმობას... ის ბრუნდება და ხელს კიდებს სამუშაოს. ბევრი ახალგაზდა დაამახინჯა, ბევრი გაბედული გასტეხა ამ აუტანელმა შრომამ, ბევრი, ძალიან ბევრი... ამისთვის საჭიროა გავჩერდეთ და გულდასმით გავსინჯოთ, თუ რა მოაქვს ამ ზედ-მეტ სამუშაო დღეს და ვისთვის არის ის ხელ-საყრელი.

ჩვენ უზომოთ ვიღლებით და ვიქანცებით 10 საათის მუშაობითაც-კი. ის აუტანელი ატმოსფერა, რომელშიაც ჩვენ ვმუშაობთ, „მასტერების“ გინება და ლანძღვა, ჩვენი პიროვნების დამცირება, მცირე სამუშაო ქირა, ყველა ეს მალე გვტეხს, გვილევს ძალას და ჯერ კიდევ ახალგაზდანი ძალ-ღონიდან ვიცლებით და მუშაობის ნიჭს ვკარგავთ. რასაც 10 საამუშაო საათი გვაკლებს, იმას ზედ-მეტი 3 საათი ამთავრებს. უიმისოთაც დაქანცული მუშა იძულებულია დარჩეს მანქანასთან და კიდევ რამდენიმე საათი გაფაციცებით ადევნოს თვალ-ყური მის მოძრაობას. ფიზიკური მუშაობა ღალავს არა მარტო ტანს, არაშედ გონებასაც. ყურადღება გვიჩლუნგდება, მანქანას წინანდებურათ ვეღარ ვუწყობთ ხელს და ამას ხშირად დასახიჩრება მოსდევს. მაგრამ, ეს კიდე როდია უმთავრესი ბოროტება. თავი და თავი ის არის, რომ საზღვარ-გადასული შრომა ძალიან მალე გვცვეთს და გვაძაბუნებს! ქარხანა საქონელთან ერთად ნელ-ნელა და შეუმჩნევლად ჯან-გამოლეული, მოდუნებული და დაუძლურებულ მოხუცთა ქმნის, მოხუცთა, რომელთაგან უკვე გამოწუწნულია, რის გამოწუწვნაც-კი შეიძლებოდა და, მაშასადამე, დღეს თუ ხვალ ჯერ-ჯერობით გადისვრის ქუჩაზე მექარხნე ამ უძლურ ადამიანთ, როგორც გამოუსადეგარ ნაგავს!..

ზედ-მეტი მუშაობის გამო მუშას დრო არ რჩება იფიქროს თვით-განვითარებაზე, თვის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობაზე. ფიზიკურათ დაძაბუნებული, ის დაძაბუნებულია სულიერადაც. მაშ, რიღათი უნდა შეებრძოლოს დამჩაგვრელ კაპიტალს?! რითი გვატყუილებენ ჩვენ? იმ ორიოდე გროშით, რომელსაც ზედ-მეტ მუშაობისთვის ვიღებთ. დაუკვირდეთ კარგათ საქმეს და დავინახავთ, რომ აქაც, როგორც ყველგან, კაპიტალისტი ცდილობს თვალი აგვიხვიოს და ყინულზე გაგვაცუროს. ყოველ მექარხნეს იმდენი მოგება რჩება ჩვენი მუშაობისგან, რომ, მას ყოველთვის შეეძლო, გაცილებით უფრო ცოტა სამუშაო დღეშიაც მოეცა მეტი ხელ-ფასი, მინემ ეხლა გვაძლევს. ფიქრი ნუ გაქვთ—ის ამით არ გაკოტრდებოდა. მაგრამ, ის სარგებლობს რუსეთში არსებულ თვითნებობით და არ გვიშვებს წინ აქამდი. და აი ჩვენ თავს ვაკლავთ ზედ-მეტ სამუშაოს და ვასრულებთ იმას, რასაც სხვა, ეხლა უადგილოთ დარჩენილები, აასრულებდენ. ჩვენ რომ ზედ-მეტ მუშაობაზე უარი ვსთქვათ, მაშინ ქუჩაში დარჩენილ უადგილო მუშების რიცხვი ძალიან შემცირდებოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, შემცირდებოდა ჩვენი მეტოქეთა რიცხვი და გაფიცვის დროს ისე ადვილი აღარ იქნებოდა ჩვენ მაგიერი ეშოვათ ვინმე, მაშასადამე, გაფიცვასაც ადვილად მოვიგებდით. ამის შედეგი ხელ-ფასის აწევა იქნებოდა და ეს მოხდებოდა სამუშაო დღის გაუგრძელებლად.

აშკარად, ზედ-მეტი სამუშაო დღე ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესების მაგიერ, გვართმევს ძალას და აფერხებს ამ გაუმჯობესებას. უმთავრესი ჩვენი ყურადღება საქარხნო ცხოვრებაში უნდა მიექცეს ამ ბოროტების, ზედ-მეტი სამუშაო დროს მოსპობას.

დეე, იცოდეს ყველა მუშამ შემდეგი: კაპიტალისტი ყიდულობს მანქანას; მანქანა მოძრაობს და თან იქსოვს ჩვენ ძალას, საიდამაც სიმდიდრეს ხვეჭს მისი პატრონი. მაგრამ, მანქანა ცვდება, ცვდება მაშინაც-კი, როცა უმოძრაოდ დგას, მაშასადამე, მთელი ფიქრი და გონება კაპიტალისტისა იქითკენ არის მიმართული, საქმე ისე მოაწყოს, რომ მანქანა შეუჩერებლივ ტრიალებდეს, ტრიალებდეს დღე, ღამე, თვე, წელიწადი. ის იმის ცდაშია, ერთი წუთიც არ დაიკარგოს ტყვილად. კაპიტალისტი არ დაგიდევს, თუ ვის აცლის ძალ-ღონეს მანქანის ტრიალი. იმის სურვილი—მანქანის მუდმივი მოძრაობაა. ამისთვის არის, რომ ისინი უუგრძელეს სამუშაო დღეს იცავენ. მაგრამ, მანქანის ტრიალი ჩვენ გვაცლის ძალ-ღონეს, ჩვენ მივყევართ უდროოთ საფლავის კარამდე. ფიზიკური თუ გონებრივი ძალა, რომელიც ჩვენთვის ბუნებას მოუცია, დაულეველი-რამ როდი! ის შეიძლება დაიხარჯოს 50, 20, 10 წელს, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იხარჯვის ის. ჩვენი ინტერესია, რაც შეიძლება დიდხანს შევინარჩუნოთ ეს ძალა, ნელ-ნელა, გამოზოგვით და გონივრულათ დავხარჯოთ ის. აი, რისთვის უნდა ვიყოთ ჩვენ წინააღმდეგნი სამუშაო დღის გაგრძელებისა. რაც შეეხება იმას, რომ ეს ზედ-მეტი სასამუშაო დღე ორიოდე გროშს გვაძლევს, ეს, როგორც ავხსენით, მხოლოდ თავის მოტყუებაა. ხელ-ფასის მომატება მხოლოდ ბრძოლით, ორგანიზაციით შეიძლება. და საცა-კი პროლეტ რიატმა შეიგნო თავის ნამდვილი კლასობრივი ინტერესი, იქ ბრძოლა ხელ-ფასის მომატების და სამუშაო დღის შემცირების შესახებ ერთ და იმავე დროს წარმოებს.

უნდა მოვიპოვოთ ისეთი პოლიტიკური პიროებები, რომელშიაც შესაძლებელი იქნეს თავისუფლად ვებრძოლოთ კაპიტალს; უამისოთ ჩვენ ობობას ქსელში გაბმული ბუზს ვეგვანებით, და, იმის მაგიერ რომ ვამბობდეთ: „მუშათა შეერთება შეუძლებელია, გაფიცვა მოუხერხებელია, მაშ დავრჩეთ ისევ მონებათ კაპიტალისა“,—ამის მაგიერ გულში თითეულ მუშისა ცეცხლის ასოებით უნდა ეწეროს: „პროლეტარიატისთვის არა-რაა შეუძლებელი! ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია, რადგან ჩვენ უძლეველ ძალას წარმოვადგენთ! ჩვენ უნდა მივილტვოდეთ წინ და დავამყარებთ კიდეც იმგვარ წეს-წყობილებას, რომლის საშვალებით ვძლევთ კაპიტალს“.

✦ ჯაშუშთა „მოღვაწეობა“ ამ ბოლო დროს მეტად გაძლიერდა. იმათ თავხედობას საზღვარი არ აქვს. 2 ივნისს „ტოკარნი ცეხში“ ჯაშუშმა სოშკინმა შენიშნა-რა ხელში ერთ მუშას პროკლამაცია, ყველას თვალ წინ ჟანდარმთან დაებეზღა. მუშა იქვე დაატუსაღეს, მიუხედავად იმისა, რომ გაჩხრეკის დროს ვერც მას და ვერც მის ამხანაგებს ვერაფერი უპოვეს.

✦ თბილ სის კომიტეტი ჩვენი პარტიისა აფრთხილებს ყველა ამხანაგთ შემდეგ ჯაშუშებისაგან:

1) „სბორნი ცეხში“: მიხეილ **მარკოსოვი**. მან სახელი გაითქვა 1900 წ. გაფიცვის დროს; განსაკუთრებითი ერთგულება გამოიჩინა შარშანდელ ივლისის გაფიცვისას. მარკოსოვი მოხუცებულია; დიდუბეში საკუთარი სახლი აქვს.

2) სამჭედლო ცეხში: პეტრე მაქსიმეს ძე **ბელოკონოვი**. მოხუცებულია, კოჭლია, წვერს იპარსავს. მიხეილ **რიბალკინი**; შვათანა ტანის კაცია, ქალარა შერთული, ორი თითი მოჭრილი აქვს მარჯვენა ხელზე.

3) „ტოკარნი ცეხში“: **სოშკინი**, რომლის მოღვაწეობა წინ გიამბეთ. შუა-ტანის კაცია, მსხვილი გრძელი წვერით. **კუდრენკო**, ისიც მსხვილი კაცია. პეტრე **ფედორენკო** დაბალი, რიჟა, პატარა წვერით. ნიკიტა **კოროვჩენკო**, მაღალი. **რ. განცევსკი**—მეორე თანაშემწე მასტერისა.

4) „ვაგონნი ცეხში“: ბრიგადირი პლატონ **წერეთელი**, შუა-ტანის, ქალარა შერთული. ბრიგადირი ივანე **თელია**. ივანე **ფედოროვი** ბრიგადირის თანაშემწე.

5) „მალიარნი ცეხში“: ილიკო **კუმხაძე**.

6) „ლიტეინი ცეხში“: ბორის **ბერეზუცკი**, უფროსი მუშა; ეგნატე **ჩერნოვი**—ჟანდარმათ ნამყოფი; ბიკტორ **ციცერსკი**—სოციალ-დემოკრატთა პოლალატე; სხვათა შორის, ბათუმის და ბაქოს ორგანიზაციებიდან იღებდა შემწეობას, ცოტას ჩვენგანაც. ფედოტე **კოლესნიკოვი**.

7) „სტალიარნი ცეხში“: ილია **ალექსეევი** და ვასილ **დაშკოვსკი**. ერთი ჯაშუშთაგანი, იაკობ ნუდელი 18 ივნისს მოკლეს დიდუბეში.

ჯაშუშები ველაბარშიაც გაჩნდენ: ჯერ-ჯერობით ვიცნობთ ოსმალეთის ქვეშევრდომს **მისაკ ჩორუკიანს**: შავგრემანი, შუა-ტანის, პიჯაკით დაიარება.

ბ ა თ უ მ ი.

ბათუმის პოლიცმეისტერის დღე-ნაკლულმა „ზუბატოვჩინამ“ უკანასკნელათ დაიკნავლა მაისის პირველ რიცხვებში. როგორც ვიცით, ეს გაიძვერა კუდა-მელა დიდის ამბით ასწავლიდა მუშებს—თქვენ მხოლოთ თქვენი პირდაპირი გაჭირვების შემსუბუქებას შეუდექით, პოლიტიკას თავი დაანებეთო,—ეს სულ გარეშე „ბუნტის“ ხალხის მოგონილიაო; მე მეგრელი ვარ და ყველა მეგრელებს, რასაკვირველია, ძმასავით ვუყურებ, მათთვის შემტკივა გული და კეთილის მეტს არას ვიფიქრებ მათზეო და სხვა. ამით მას სუროდა შური და განხეთქილება ჩამოეგდო მუშებ შორის, ქართველები და სომხები ერთმანეთზე გადაეკიდებია, იმერლები, მეგრელები და გურულები ერთმანეთში აეშალა და მით პროლეტარიატის საერთო მიზნისთვის სამარე გაეთხარა. მაგრამ, გაუცვდა ზუბატოვის გოშიას თავისი ხრიკები. მუშები, სხვა-და-სხვა ეროვნებისა, მართალია, პირველ ხანს თითქმის მოსტყუვდნენ მისი ლაქუცა სიტყვებით და კინალამ ერთმანეთს დაშორდენ. მაგრა შეგნებულები მალე მიხვდნენ მის ცრუპენტელაობას. ის პირდებოდა—თქვენთვის ხაზეინებს სადილოებს გავახსნევინებ, მოვაწყობინებ აბანოს და სხვა ამგვარებსაო. მარა ვერც ერთი ვერ აუსრულა. ამიტომ მუშები მალე ჩამოშორდენ მას. მხოლოდ მეგრელების ერთი ნაწილი, რომელიც ძლიერ დაუახლოვდა პოლიცმეისტერს (ჩიქოვანია), კიდევ შერჩა მას, და ამ ნიადაგზე აღიძრა მაისის პირველ რიცხვებში ახალი უკმაყოფილება მუშათა შორის. ერთმა პოლიცმეისტერის ერთგულმა მიმდევარმა (გაბუნიამ) მოინდომა ნოქრის ადგილის შოვნა მანთაშევის მეორე ქარხანაში. წინეთ ეს მანთაშევის პირველ ქარხანაში იყო მუშათ. ორივე ქარხნის მუშები წინააღმდეგი იყვნენ ამისი, რადგან ერთხელვე გადაწყვეტილი ქონდათ, რომ მუშას ასეთი ამაღლება არ მიეღო სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. მხოლოთ რამოდენიმე მისი მეგობრები, იმავე ჩიქოვანისაგან ჩაგონებულები, მიემხრნენ გაბუნიას, სულ 20—25 კაცი. ქარხნის ადმინისტრაციაც მოწადინებული იყო, გაბუნია გაეყვანა ნოქრათ და ამით სასურველი თანაშემწე გაეჩინა მუშების დასამორჩილებლათ. მაგრამ იმედმა უმტყუნა! მუშებმა ერთხმათ განაცხადეს გაფიცვას მოვახდენთ, თუ გაბუნია ნოქრათ აიყვანეთო. გაბუნიასაგანაც მოითხოვეს, უარი ეთქვა იმ ადგილზე. ბევრი სირბილის შემდეგ პოლიცმეისტერის კანცელარიაში, გაბუნია იძულებული გახდა დამორჩილებოდა მუშების მოთხოვნილებას! ამნაირათ, ჩაფლავდა ჩიქოვანის „პოლიტიკა“, და მის გავლენას მუშებზე სამუდამოთ მოეღო ბოლო. მაისის შუა რიცხვებში დაიწყო გაფიცვა კაპლანის თუჯის ჩამოსასხმელ ქარხანაში. მუშები ითხოვდნენ ხელფასის მომატებას, რაც დაკმაყოფილებულ იქნა ქარხნის ადმინისტრაციისაგან.

შემდეგ გაიფიცნენ პასეკის მექანიკური ქარხნის მუშები, სულ 45 კაცი რუსი და ქართველი. მოითხოვეს ხელ-ფასის მომატება. ხაზეინმა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა. მარა სამაგიეროთ ახალ ხრიკს მიმართა მუშების სამერმისოთ დასამორჩილებლათ. რამდენიმე დღის შემდეგ 9 მუშას ანგარიშის მიღება გამოუცხადა, რადგან, მისი აზრით, მუშების შეგნებულ ნაწილს წარმოადგენდნენ ისინი და დანარჩენებს ხელმძღვანელობას უწევდენ საერთო მოქმედების დროს. მაგრამ ხაზეინის ასეთი გაიძვერაობა და თვალ-და-თვალი მოტყუება კარგათ იგრძნეს ყველა მუშებმა და ერთბაშათ გაიფიცნენ: ისინი თხოულობენ ამხანაგების დატოვებას ქარხანაში და წინა გაფიცვაში მოგებულ მომატებულ ხელფასის ყველასათვის მიცემას (წინეთ ხაზეინმა ორს არ მიუმატა ხელ-ფასი). გაფიცვა 2 კვირა გრძელდება. გაფიცულებში გამართულ იქმნა აგიტაცია. რით გათავდება გაფიცვა, შემდეგ გაცნობებთ.

მაისის 30-ში დაიწყო წვრილ სახელოსნოების—თერძების, მეწუღლეების, მეუნაგრეების, მექუდეების და სხვ. გაფიცვა. გაიფიცნენ ქარგლები. თუ ქარხანა-ფაბრიკებში მუშაობა აუტანელია, სახელოსნოების მუშათა მდგომარეობა ხომ ჯოჯოხეთის ტანჯვას წარმოადგენს. წვრილი ხელოსნები ეს ნამდვილი წურბელებია, რომელთაც მიზნათ აუღიათ თავის მომუშავეთა სისხლით და ჯანმრთელობით აინაზღაურონ თავიანთ ტეხნიკის ნაკლულევანება და ბაზარზე კონკურენციიდან გამარჯვებული გამოვიდნენ. ამიტომ ისინი უკანასკნელ სისხლს წოვენ, დღე და ღამეს აერთებინებენ იმ ორ-სამ მუშას, რომლებიც მათს ჰაერ-დახშულ, ნოტიო სახელოსნოში, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, პატარა საპყრობილეში ყავთ ჩამწყვდეული ასეთ მუშებისთვის არ არსებობს არც დრო, არც საათი: ირაჟრაჟებს თუ არა, უნდა მიუჯდნენ ერთხელვე მიჩენილ სკამს და მთელი დღე, შუაღამემდე, სანამ ხაზეინს სანათი გამოელეოდეს, ან ქანც-გამოლეული მუშა იქვე დაზგაზე არ წაიქცევა,—უნდა განუწყვეტლივ აფხაკუნოს ხელი და ფეხი, ე. ი. უნდა იმუშაოს დღეში 20 საათზე მეტი. არც სადილისთვის, არც საუზმისთვის თავისუფალი დრო არ ეძლევათ. იქვე დაზგაზე ან გვერდით გამურულ სკამზე უძევთ გამხმარი პური და ილოღნებიან, თან ხელში სამუშაო უჭირავთ, რომ არ მოსცდნენ ჭამის დროსაც-კი. იქვე წურბელა ხაზეინი მხართეძოზე წამოწოლილი ცივ წყლებს შეექცევა და მრისხანეთ თვალებს აბრიალებს, რომ მუშამ ერთი წუთიც არ დაუკარგოს ამ პატარა წურბელას. ღამეს ატარებენ ისეთ ადგილებში, რომელიც ყოველ უწ-

მინდურების და უსუფთაობის ნამდვილ ბუნაგს წარმოადგენს. მათთვის არც კვირა-უქმე დღეები არსებობს! ამ დღეებში ისინი დაკეტილ კარებში, ე. ი. მთლათ შეკრულ ჰაერში მუშაობენ, ან და მუშტარს იზიდავენ, რომ ხაზეინს სხვილი ვეშაპობისკენ, ე. ი. კაპიტალისტობისკენ გზა გაუკაფონ. ერთი სიტყვით, სახელოსნო მათთვის ნამდვილი სატუსაღოა, სადაც მზის სხივი არასოდეს არ შეაშუქებს და სადაც უნდა აღამონ მათ დღეები და ათენონ ღამეები. ხაზეინებისთვის-კი ეს მუშათა ამომწყვეტი ადგილი სიმდიდრის წყაროა, რომელმაც მას თეთრი ქვითკირის სახლი და მშვენიერი მორთულობა უნდა შესძინოს! ამნაირათ, სახელოსნოში აუტანელი შრომა გონებრივათაც და ფიზიკურადაც ასაბირებს მომუშავეებს, უსწრაფებს მათ სიკოცხლეს, რომ ამათ ფუფუნება შესძინოს წურბელა ხაზეინს. აი ამ ტანჯვისთვის იღებენ თვეში 10—12 მანეთს. 10—12 მანეთათ იყიდება მათი ჯანმთელობა, მათი აზრი, ახალგაზდობა, სიკოცხლეც! აი, ასეთ შემაძრწუნებელ პირობების წინააღმდეგ აღამაღლეს ხმა ბათუმის მუშებმა! მუშათა საერთო გამოღვიძების ხმა მისწვდა მათ დამმონებელ სახელოსნოებსაც, ნათელ-სხივათ ჩააშუქა და ამ ჯურღმულიდამ ამოსავალი გზა უჩვენა. ქარგლებმა გამოიღვიძეს და მოითხოვეს ადამიანური პირობები თავისთვისაც. ამ ჟამათ მათი მოთხოვნილება განსაცვიფრებლათ მცირეა: დილის ექვსი საათიდან საღამოს რვა საათამდე მუშაობა, ხოლო შაბათობით საღამოს ექვსამდის და კვირა-უქმეებში სრული თავისუფლება! 30 მაისიდან დაწყებული კიდეც ანებებენ გადაწყვეტილ დროზე თავს სამუშაოს. ამნაირათ ფიქრობენ ისინი სამუშაო დღის შემცირებას 14 საათამდის: დიახ, 14 საათამდის და ამისთვისაც ბრძოლა და მსხვერპლია საჭირო! მუშაობის თავის დანებებისთვის ერთმა ხაზეინმა უკვე დაითხოვა თავისი ქარგლები! სამი ქარგალი არ დათანხმდა ამხანაგებს და განაგრძობს ძველებურად დღე და ღამ მუშაობას. დანარჩენები-კი მხნეთ ადგანან თავის მოთხოვნილებებს და ძალას არ იტეხენ. მათ გასულ ზაფხულსაც ქონდათ გაფიცვა რვა საათზედ მუშაობის შეწყეტისთვის და კიდეც მოიგეს, მაგრამ შემდეგ, რადგან მტკიცე ორგანიზაცია არ გაჩნდათ და ერთმანერთის მხარის დაჭერა ვერ მოახერხეს, ხაზეინებმა მოსპეს მათი მოგებული უფლებები და შუაღამემდის მუშაობა დააწყებინეს.

ამხანაგებო! განაგრძეთ ბრძოლა, გახსოვდეთ, რომ დღეს ყოველი მუშა იბრძვის თავის პირობების გასაუმჯობესებლად! გახსოვდეთ აგრეთვე გასულ წელს ხაზეინებისაგან ნახმარი ხრიკები, მათი მატყუარობა და უპირულობა! ისინი მუდამ დაგვამარცხებენ, თუ ერთ პირზე არ ვიდგებით. მხოლოდ ერთობა და კავშირი ჩვენ მოძმე მუშებთან დაგვიხსნის ხაზეინის კლანჭებისაგან. ვიბრძოლოთ, ამხანაგებო, და ამით დავამტკიცოთ, რომ ჩვენ შეგვძლია თავისი უფლებების ბრძოლით მოპოვება!

სადგური აქსტაფა.

აქსტაფიდან შემდეგ საზიზღარ ამბავს გვატყობინებენ: 1-ლი კლასის ბუფეტში იჯდა ორი სტუდენტი. ომზე ლაპარაკის დროს როგორღაც ცუდათ მოიხსენიეს ალექსეევი, ნამესტნიკი შორეულ-აღმოსავლეთისა. ჟანდარმი, რომელმაც ყური მოჰკრა ამას, მიეკრა სტუდენტებს და უბრძანა გაყოლოდნენ მას პროტოკოლის შესადგენად. სტუდენტებმა პროტესტი განაცხადეს: „პროტოკოლის შედგენა აქაც შეიძლება, სად უნდა გამოგყვეთო?!“ ჟანდარმი თავისას არ იშლიდა, მაგრამ, როცა შეატყო, რომ არც ისე გულ-უბრყვილონი არიან სტუდენტები, გავიდა ბუფეტიდან, მოაგროვა დვორნიკები და ნამდვილი იერიში მიიტანა სტუდენტებზე. მეტი გზა არ იყო უნდა გაყოლოდნენ. ისინი შეიყვანეს ჟანდარმთა კანცელარიაში და აუარებელი „ხალხის“ თვალ-წინ უმოწყალოდ სცემეს. არ გამოჩდა კაცი, ხმა აემაღლებია ამ სისაძაგლის წინააღმდეგ. მარტო ვიღაც გზის „სჩეტოვოდი“ გამოესარჩლა სტუდენტებს, რისთვისაც გზის უფროსმა, ჟანდარმთა დაბეზღებით, სადგურ ალიატში გადაიყვანა ის უმცირეს ჯამაგირზე. საქმე გამომძიებელს გადაეცა. მოწმედ მოწვეულმა „სჩეტოვოდმა“ განაცხადა: სანამ სამსჯავრო გარანტიას არ მისცემს მას იმის შესახებ, რომ კიდევ უფრო არ დასჯიან სიმართლის თქმისთვის, მანამ ის ჩვენებას ვერავის ვერ მისცემს

აი მწარე სინამდვილე ჩვენი ცხოვრებისა!..

იტყვი სიმართლეს? შედეგათ გვერდების დამტვრევა ან არა და ულუკმა-პუროთ დარჩენა.

ვირთავა, საზიზღარი ივანოვსკები და გარყვნილ-გათახსირებული ჟანდარმები მეტად მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი, ამით იმარჯვიბენ დღემდე ჩვენზე.

ქუთაისი. 20 ივნისი.

აქაურ ციხეში ასმდე კაცი ზის. ესენი არიან გლეხ-კაცები ხიდისთავიდან, ლანჩხუთიდან და გურია-იმერეთის სხვა-და-სხვა სოფლიდან. დაიჭირეს ისინი ამ გასულ გაზაფხულს და აბრალებენ მათ გლეხთა უკანასკნელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებას. ქუთაურთა სამარცხვინოთ,—დატყვევებულთ თითქმის არავითარი ნივთიერი დახმარება არ ეძლევათ „საზოგადოებისაგან“.

◆ იქიდანვე ჩვენ გვთხოვენ შეცდომის გასწორებას: **სპირდონი ლეჟავა**, რომელიც „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელში“, (8 №-ში),—პროვოკატორათ იყო გამოცხადებული,—ნამდვილათ-კი მხოლოთ ჯაშუშია (შპიონი).

დეკეშა ბათუმიდან.

თუთუნის ფაბრიკის პატრონის ბინიატ-ოღლის წინააღმდეგ გამართული ბოიკოტი ბრწყინვალეთ გათავდა მუშების სრული გამარჯვებით: ხაზეინი იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა ყველა მათი მოთხოვნილება. ბათუმის კომიტეტის გადაწყვეტილებით,—ფაბრიკას ბოიკოტი აეხსნა.

დამატება 10—11 №-ის.

ქუთაისი. 6 ივლისს, ყვირილია სატატიძროდან ქუთაისის ციხეში გადაყვანდათ 5-ი პოლიტიკური დამნაშავე, რომელიც ჭიათურაში შეიპყრეს. შეპყრობილთ თან ახლდა 6 შეიარაღებული „სტრაჟნიკი“. ქუთაისის სადგურზე მათ დახვდა აუარებელი ხალხი, რომელნიც გაჰყვა მათ სადგურიდან.

დილის ცხრა საათი იყო, როცა ტფილისის და ოლდენბურგის ქუჩ. შესართავთან უცებ ხალხიდან გამოვიდა ჩვენი ამხანაგი პროკოფი ლეჟავა და ჰაერში გაისროლა რევოლვერი. ის უცებ ქუჩის შუაგულში გაჩნდა და, დაუყვირა-რა სტრაჟნიკებს,—„შეჩერდით, არ დაიძრეთ!“—ესროლა მათ. ერთ მძიმეთ დასჭრა და ორი მსუბუქათ. არეულობით ისარგებლეს ორმა ტყვემ, რომელნიც გაიქცნენ. ლეჟავამ მიაღწია თავის მიზანს: მან გაანთავისუფლა თვითმპყრობელობის ორი ტყვე, რაც სიკოცხლეთ დაუჯდა ჩვენს ამხანაგს!.. სტრაჟნიკის თოფის ტყვიამ თავი გაუპო მას და უცებ გამოასალმა სიკოცხლეს. მარა, გამხეცებული „სტრაჟა“ არ დაკმაყოფილდა მისი სიკვდილით, ორჯერ გაუხვრიტა ზურგი პირდაღმა დაცემულ უსულო გვამს და რამდენჯერმე დაანარცხა ის ქუჩაზე...დამსწრე ხალხიდან პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე კაცი, რომლიდან 2 დაჭრილია.

ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი განცხადება: **პასუხი დურგალს.** განაგრძეთ შენი საქმე ჭეშმარიტია.

კავშირის კომიტეტი.